ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2545177

ნომერი: AR1394321

თარიღი : 07.04.2016

გაცემის თარიღი : 15.04.2016

გაცნობის თარიღი : 18.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლერმონტოვი , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირინე ბოკუჩავა პ/ნ 01017034113
- თბილისი გ.ტაბიძის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1394321 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. #10-ში (ს/კ #01.15.05.078.011) ნებისმიერი საკითხის განხილვისას წარმოებაში ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 10 მარტის #2448953 ბრძანებით ქ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. #10-ში (ს/კ #01.

15.05.078.011) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სასტუმროს მშენებლობისათვის.

2016 წლის 25 მარტის #2470380 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, ლერმონტოვის ქ. #10–ში არსებული შენობის რეაბილიტაციის ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი #9, 04.03.2016 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს მიეცა დადებითი შეფასება საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

2016 წლის 15 თებერვალს #AR1378551 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე დავით ლოსაბერიძემ და მოითხოვა ზემოაღნიშნულ მისამართზე ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.